



14001-15-13-2-201912251750



N 15-13/14001

25/12/2019

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს
ბატონ ვახტანგ გომელაურს

წინადადება

██████████ დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის რ. ██████████ ბ. ██████████ წინააღმდეგ
დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების თაობაზე

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო ვახტანგ,

2018 წლის 30 ნოემბერს საქართველოს სახალხო დამცველს №16664/18 განცხადებით მომართა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულმა ბრალდებულმა კ. ██████████ ვ. ██████████.

ფაქტობრივი გარემოებები

განმცხადებელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მხრიდან დაკავების დროს მის მიმართ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე მიუთითებდა. ბრალდებულის განმარტებით და სახალხო დამცველის აპარატის მიერ მოპოვებული ინფორმაციით¹, კ. ██████████ ვ. ██████████ დააკავეს 2018 წლის 25 ნოემბერს. დაკავების შემდეგ მას სხეულზე აღენიშნებოდა მრავლობითი დაზიანებები. კერძოდ, იზოლატორის ექიმის რ. ██████████ ბ. ██████████ მიერ გაცემული ფორმა № IV-100ა დგინდება, რომ კ. ██████████ ვ. ██████████ ჰქონდა თავის ტრავმა, გულმკერდის ზედაპირული ტრავმა, დაკავებული მიუთითებდა თავის ტკივილზე, ტკივილზე გულმკერდის ქვედა მესამედის, წელისა და კუდუსუნის არეში. აღენიშნებოდა მცირე ზომის სისხლნაჟღენთები კეფის არეში, ზურგზე, ცხვირისა და ყვრიმალის მიდამოში და სხვა.

ამ დაზიანებებისა და ჩივილების გამო, ██████████ დროებითი მოთავსების იზოლატორში მისი შესახლება ვერ მოხერხდა, ვინაიდან ექიმის რ. ██████████ ბ. ██████████ გადაწყვეტილებით/რეკომენდაციით იგი გაგზავნილ იქნა სტაციონარში - ნევროლოგთან კონსულტაციისა და შემდგომი კვლევის მიზნით. თუმცა, ექიმს არ მიუმართავს დროებითი

¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი № MIA 41900023734.

მოთავსების იზოლატორის ხელმძღვანელისთვის, რათა მას ეცნობებინა საგამოძიებო უწყებისთვის (იმჟამად დადგენილი საკანონმდებლო რეგულაციის მიხედვით).²

სხეულზე არსებულ დაზიანებებთან ერთად, 2018 წლის 26 ნოემბრის შპს „ფერომედი“-ს მიერ გაცემული ფორმა № IV-100ა მიხედვით, დაკავებულს დაუდგინდა ტვინის შერყევის დიაგნოზიც.

კლინიკიდან დაკავებული [REDACTED] დროებითი მოთავსების იზოლატორში დააბრუნეს 2018 წლის 26 ნოემბერს. [REDACTED] დროებითი მოთავსების იზოლატორიდან, კ [REDACTED] ვ [REDACTED] სხეულზე არსებული დაზიანებებისა და მიღებული ტრავმის შესახებ საგამოძიებო ორგანოსთვის შეტყობინება არც 26 ნოემბერს გაგზავნილა.³

2018 წლის 27 ნოემბერს პატიმარი შესახლდა №2 პენიტენციურ დაწესებულებაში. სწორედ, №2 პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო პუნქტის ექიმმა თ [REDACTED] ც [REDACTED] მიმართა 2018 წლის 27 ნოემბერსვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს⁴, რის საფუძველზეც დაიწყო გამოძიება - თერჯოლის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ბრალდებულის დაკავებისას სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების შესაძლო ფაქტზე (გამოძიება დაიწყო 2018 წლის 4 დეკემბერს)⁵.

სამართლებრივი დასაბუთება

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას, დაიცვას იმ ადამიანთა კეთილდღეობა, რომლებიც არიან მოწყვლად მდგომარეობაში სახელმწიფოს მხრიდან კონტროლის გამო.⁶ ყველაზე მაღალია დაკავებული პირების მიმართ არასათანადო მოპყრობის საფრთხე თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის ან/და ასეთ შემთხვევებზე ეფექტიანი გამოძიების წარმართვისთვის, აუცილებელია პირის დაკავების შემდეგ, განხორციელდეს მისი დროული სამედიცინო შემოწმება და სხეულზე დაზიანებების არსებობის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე საგამოძიებო ორგანოების ინფორმირება.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორების ტიპური დებულებისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 2 აგვისტოს №423 ბრძანება ადგენს იზოლატორში მოსათავსებელი პირის პირველადი სამედიცინო შემოწმების წესს. შინაგანაწესის (ბრძანების დანართი №2) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირველადი სამედიცინო შემოწმების დროს სამედიცინო მუშაკის მიერ მოსათავსებელი პირი გამოიკითხება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ხდება ამ პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების დოკუმენტირება, ასევე ვიზუალური დათვალიერება სხეულზე არსებული დაზიანებების სრულად დაფიქსირების მიზნით.

² საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი № MIA 41900023734.

³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილი № MIA 41900023734.

⁴ N2 პატიმრობისა და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების წერილი № MOC 41801056442.

⁵ საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილი №13/212.

⁶ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „ჩემბერი რუსეთის წინააღმდეგ“, 2008, საჩივარი №7188/03.

შინაგანაწესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, იზოლატორში, რომელშიც ფუნქციონირებს სამედიცინო პუნქტი, პირველად სამედიცინო შემოწმებას ატარებს დეპარტამენტის სამედიცინო მომსახურების სამსახურის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე შტატგარეშე მოსამსახურე და შემოწმების შესახებ ადგენს იზოლატორში მოთავსებული პირის სამედიცინო შემოწმების ფორმას. თუ ექიმს წარმოეშობა ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე, იგი ვალდებული იყო, ეცნობებინა იზოლატორის უფროსისთვის, რომელიც თავის მხრივ აღნიშნულის შესახებ შეტყობინებას უგზავნიდა საქართველოს პროკურატურას და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას⁷. ეს რეგულაცია მოგვიანებით მცირედით შეიცვალა და 2019 წლის 6 დეკემბერს განხორციელებულ ცვლილებებამდე განსაზღვრული იყო შემდეგი: თუ ექიმს წარმოეშობოდა ეჭვი წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე, ის ვალდებული იყო, აღნიშნულის შესახებ წერილობით შეეტყობინებინა საქართველოს პროკურატურისთვის და სამინისტროს გენერალურ ინსპექციისთვის. მოცემული ინფორმაცია ამავდროულად უნდა მიწოდებოდა იზოლატორის უფროსს.⁸

როგორც უკვე აღინიშნა, კ. [REDACTED] ვ. [REDACTED], ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის გამო, ვერ მიიღეს იზოლატორში და საჭირო გახდა დაკავებულის სტაციონარში გადაყვანა, სადაც მას თავის ტვინის შერყევის დიაგნოზიც დაუდგინდა. თუ გავითვალისწინებთ დადგენილი დიაგნოზის სიმძიმესა და დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებს, ასევე იმ გარემოებას, რომ საუბარია თავისუფლებააღკვეთილ პირზე, მაღალი ალბათობით ჩნდება ეჭვი არასათანადო მოპყრობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთ საქმეში⁹, სწორედ ფიზიკური დაზიანებების ბუნების გათვალისწინებით მიიჩნია, რომ ფაქტი ექცევა კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში. საქმეში „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, სწორედ განსახილველი შემთხვევის მსგავსი მოცემულობა იყო, როდესაც დაკავებისას და საგამოძიებო უწყებების ეფექტური კონტროლის ქვეშ ყოფნისას, დაკავებულმა არ/ვერ განაცხადა მისი პრეტენზიების შესახებ დამკავებელი პოლიციელების მისამართით. განმარტა, რომ წაიქცა და დაზიანებები ამგვარად განუფითარდა. შესაბამისად, არც შეტყობინება გაგზავნილა გამოძიების დაწყების მიზნით. მოგვიანებით კი მას დაუდგინდა მნიშვნელოვანი დაზიანებები, თავის შიდა ტრავმა, ტვინის შერყევა და სხვა. დადგინდა, რომ მის მიმართ ფიზიკური ძალადობა განახორციელეს პოლიციელებმა აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით.

ამ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ როდესაც სადავო შემთხვევები მთლიანად ან ნაწილობრივ წარმოადგენს შესაბამის ორგანოთა ექსკლუზიური ინფორმირებულობის/ცოდნის სფეროს, როგორც ეს დაკავებული პირების შემთხვევაშია, ჩნდება ძლიერი ეჭვები პატიმრობის პერიოდში წარმოქმნილ დაზიანებებთან დაკავშირებით.

⁷ 2018 წლის 26 ნოემბერს მოქმედი რედაქციით.

⁸ დღეს მოქმედი რეგულაციის მიხედვით, არასათანადო მოპყრობის შესახებ ექიმი დაუყოვნებლივ ატყობინებს სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს და სამინისტროს გენერალურ ინსპექციას.

⁹ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №19634/07, 2013 წ.; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „ასენოვი და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ“, საჩივარი №90/1997/874/1086, 1998 წ.

რასაკვირველია, მტკიცების ტვირთი ეკისრება შესაბამის ორგანოებს, რათა მათ წარმოადგინონ დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება.¹⁰

ამრიგად, ადამიანის უფლებათა პრევენციული სამართალი, სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, დაკავებულ/დაპატიმრებულ პირებთან დაკავშირებით გაატარონ ეფექტიანი ღონისძიებები, რათა გამოირიცხოს ნებისმიერი ეჭვი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან მოქალაქის მიმართ არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით. მოქალაქის დუმილი ან შექმნილი ვითარების გამო, პოლიციელების მხილებისგან თავის შეკავება, არ ამცირებს სახელმწიფოს ვალდებულების ხარისხს, გაატაროს ეფექტიანი ღონისძიებები ვითარების სრულყოფილად შესწავლის მიზნით.

კ. [REDACTED] ვ. [REDACTED] შემთხვევაში, ექიმ რ. [REDACTED] ბ. [REDACTED] მხრიდან ერთი მხრივ იმის იდენტიფიცირება, რომ დაკავებულ მოქალაქეს აღენიშნებოდა მნიშვნელოვანი დაზიანებები, რომლის ხარისხის გათვალისწინებით შეუძლებელი იყო დროებითი მოთავსების იზოლატორში მიღება და ადგილობრივი სამედიცინო რესურსით ადეკვატური დახმარების აღმოჩენა; ხოლო მეორე მხრივ - მსგავსი ხასიათისა და ხარისხის დაზიანებების მიუხედავად და დაკავებული პირის მოწყვლად მდგომარეობაში ყოფნის გარემოებების (რა დროსაც მას შეიძლებოდა გარკვეული შიშის ფაქტორის გამო, არ/ვერ მიეთითებინა პოლიციელების მხრიდან შესაძლო ძალადობის ფაქტზე) მხედველობაში მიუღებლობით, შესაძლოა სახეზე იყოს ექიმის მიერ მისი პროფესიული ვალდებულების არაკეთილსინდისიერად, არაგულისხმიერად, არაჯეროვნად შესრულების ფაქტი.

მით უფრო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროსგან ინსტიტუციურად დამოუკიდებელი სისტემის სამედიცინო მუშაკმა - №2 პენიტენციური დაწესებულების ექიმმა - რომლის მიმართაც შესაძლოა არსებობდეს ამ შემთხვევაში, ობიექტურობისა და მიუკერძოებლობის უფრო მაღალი ვარაუდები, ცალსახად მიიჩნია, რომ კ. [REDACTED] ვ. [REDACTED] დაზიანებები წარმოშობდა მის მიმართ ჩადენილი დანაშაულის ვარაუდს და შესაბამისად, წარმოადგენდა გამოძიების დაწყების საფუძველს.

ექიმ რ. [REDACTED] ბ. [REDACTED] მხედველობაში უნდა მიეღო შემდეგი გარემოებები:

- დაზიანებების ხარისხი
- ლოკაცია
- ინტენსიურობა
- სავარაუდო ხანდაზმულობა
- პაციენტის მოწყვლადი მდგომარეობა (პაციენტი იყო თავისუფლებაშეზღუდული და კვლავ სამართალდამცავი სტრუქტურის ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი)

ამ გარემოებების ერთობლიობის ანალიზი კი ისევე როგორც ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლისთვის, ექიმ რ. [REDACTED] ბ. [REDACTED] საკმარისი უნდა ყოფილიყო გასჩენოდა ეჭვი დაკავებულის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტთან დაკავშირებით.

¹⁰ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, „დვალიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“, საჩივარი №19634/07, 2013 წ., პუნქ. 39.

ნიშანდობლივია, რომ არსებობს პირდაპირი და აშკარა კავშირი ადამიანის უფლებების კონცეპტუალურ ცნებებსა და ეთიკური ნორმების დაცვის ჯანდაცვის სფეროში მტკიცედ დამკვიდრებულ პრინციპს შორის. ისევე როგორც იურისტის პროფესიაში, ჯანდაცვის სფეროს სპეციალისტთა ზნეობრივი ვალი და მოვალეობები ჩამოყალიბებულია არაერთ საერთაშორისო დოკუმენტში. სამედიცინო ეთიკის უმთავრეს პოსტულატს წარმოადგენს მედიცინის მუშაკის ყველაზე უზენაეს მოვალეობას იმოქმედოს პაციენტთა საუკეთესო ინტერესებისთვის. ჯანდაცვის სფეროს ყველა სპეციალისტი დამნაშავედ ჩაითვლება პროფესიული მოვალეობის დარღვევაში, თუ არ დაიცავს პროფესიულ ნორმებს მნიშვნელოვანი საფუძვლის გარეშე. სამედიცინო ეთიკის უხემ დარღვევას წარმოადგენს წამებაში აქტიური ან პასიური მონაწილეობა ან მათი მიმნებლობა.¹¹

არასათანადო მოპყრობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია გამოძიება დაიწყოს დაკავებული პირების მხრიდან ფორმალური საჩივრის არარსებობის პირობებშიც, რადგან აღნიშნული შესაძლოა იყოს შიშის, სტრესის და გაურკვევლობის შედეგი, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ თავისუფლების აღკვეთის პირველ ეტაპზე დაშინების, ზეწოლის, შეურაცხყოფის და სხვა სახის არასათანადო მოპყრობის საფრთხე ყველაზე მაღალია და ამ დროს პირი განსაკუთრებით მოწყვლად მდგომარეობაში იმყოფება¹². ექიმების როლი ამ ეტაპზე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომელსაც ყველაზე უკეთ შეუძლია, პროფესიული თვალთ შებედოს დაკავებულ/დაპატიმრებული პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას/დაზიანებების ხარისხს, დიაგნოზს და იმოქმედოს დაკავებულ/დაპატიმრებული პაციენტის კანონიერი ინტერესების დაცვის პრიზმიდან, გამოიყენოს ყველა კანონიერი საშუალება, რათა მოახდინოს საგამოძიებო უწყების ინფორმირება დაზიანებების წარმოშობასთან დაკავშირებული ეჭვის გაქარწყლების/დადასტურების მიზნით.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყოს დისციპლინური საქმისწარმოება [REDACTED] დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმის რ [REDACTED] ბ [REDACTED] წინააღმდეგ, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მის მიერ შესაძლოა ადგილი ჰქონდეს სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვან შესრულებას და მიიღოს კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

დანართი: 34 (ოცდაათოთხმეტი) ფურცელი.

პატივისცემით,

¹¹ სტამბოლის პროტოკოლის 50-ე და 51-ე პუნქტები.

¹² საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში.

ნინო ლომჯარია

სახალხო დამცველი

5- 